



შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
ქუთაისის უნივერსიტეტი

დამტკიცებულია პარტნიორთა საერთო
კრების მიერ

„_____“ _____ 2018

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის
2018-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა

ქუთაისი, 2018

შინაარსი	
შესავალი.....	3
თავი I. ისტორიული ცნობა	4
თავი II. უნივერსიტეტის მისია.....	5
თავი III. მთავარი ღირებულებები	6
თავი IV. უნივერსიტეტის მომავლის ხედვა.....	7
თავი V. SWOT ანალიზი.....	7
თავი VI. ძირითადი გამოწვევები	11
თავი VII. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები.....	12
თავი VIII. სტრატეგიული გეგმის მიზნების განხორციელების ფინანსური უზრუნველყოფა	25
თავი IX. 3 წლიანი სამოქმედო გეგმა (2018-2020 წწ.).....	28
თავი X. ფაქტობრივი და სამიზნე ნიშნულები თითოეული სტრატეგიული მიზნის მიხედვით.....	37

შესავალი

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის საქმიანობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს სამოქალაქო კოდექსს, „მეწარმეთა შესახებ“, „უმაღლესი განათლების შესახებ“ და „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონებს, საქართველოში მოქმედ სხვა კანონებსა და ნორმატიული აქტებს და განისაზღვრება მისი წესდებით, შინაგანაწესით და სხვადასხვა სამართლებრივი აქტებით.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებია პარტნიორთა საერთო კრება და აკადემიური საბჭო, ხელმძღვანელი პირები - რექტორი და დირექტორი. მმართველი ორგანოები და ხელმძღვანელი პირები, სტრუქტურული ქვედანაყოფებთან ერთად, ქმნიან უნივერსიტეტის ორგანიზაციულ სტრუქტურას.

სტრუქტურული ქვედანაყოფების ფუნქციები შესაბამისობაშია საზოგადოების სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და ასახულია შინაგანაწესსა და სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებებში.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი ითვალისწინებს საქართველოს მიერ ბოლონის პროცესთან შეერთებით ნაკისრ ვალდებულებებს და იზიარებს მის კონვენციებსა და დეკლარაციებში ასახულ პრინციპებს.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების, მართვის პრინციპები დეკლარირებულია მის წესდებაში. ეს პრინციპებია:

- უნივერსიტეტის მმართველი ორგანოებისა და ხელმძღვანელების გადაწყვეტილებათა საჯაროობა და ხელმისაწვდომობა;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების აკადემიური თავისუფლება;
- აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობა მართვის პროცესში;
- აკადემიური პერსონალისა და მმართველი ორგანოების არჩევითობა სამართლიანობის, გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფით;
- თანასწორუფლებიანობა განურჩევლად პირის ეთნიკური კუთვნილების, სქესის, სოციალური წარმოშობის, პოლიტიკური და რელიგიური მრწამსისა.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018 – 2024 წწ.) ასახავს მის ღირებულებებს, მისიასა და ხედვას უმაღლესი განათლების სფეროში. იგი წარმოადგენს უნივერსიტეტის საგზაო რუკას მისი პრიორიტეტული მიზნების განსახორციელებლად 2025 წლამდე პერიოდისათვის.

წინამდებარე გეგმა შეიმუშავა უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის კომიტეტმა, რომელიც შეიქმნა რექტორის ბრძანებით N384 07.07.2017. სტრატეგიის შემუშავებამდე კომიტეტის წევრებმა შექმნეს უნივერსიტეტის „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“, რომელიც აღწერს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ყველა საჭირო ეტაპს და ინსტრუმენტს მონიტორინგისა და პერიოდული შეფასებების ჩათვლით.

უნივერსიტეტის სტრატეგიის დაგეგმვის ეტაპზე იმართებოდა ყოველკვირეული სამუშაო შეხვედრები, რომელშიც კომიტეტის წევრებთან ერთად მონაწილეობას იღებდა ყველა დაინტერესებული მხარე (ძირითადი „სთეიქჰოლდერი“): უნივერსიტეტის

მფლობელები, აკადემიური, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები.

სამუშაო შეხვედრებზე, ჩაღრმავებული ინტერვიუებისა და საჭიროებათა კვლევის ანალიზის, უნივერსიტეტის მისიისა და ღირებულებების შესახებ შეხვედრებათა ურთიერთგაზიარების საფუძველზე, გამოიკვეთა ძირითადი სტრატეგიული მიზნების და ამოცანების კონტურები.

გეგმის შემუშავების ეტაპზე, სტრატეგიული მიზნების განსაზღვრისას, კომიტეტი დაეყრდნო შემდეგ სამართლებრივ აქტებს:

- საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია „საქართველო 2020“;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოქმედი სტრატეგია - „განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია 2017-2021“;
- საქართველოს კანონი „უმაღლესი განათლების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „ინოვაციების შესახებ“;
- საქართველოს კანონი „მეცნიერებათა აკადემიის შესახებ“.

წინამდებარე სტრატეგიის განხორციელება აამაღლებს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის რეპუტაციას და დაახლოვებს მას სასურველ სტატუსთან, რომელიც დეკლარირებულია უნივერსიტეტის ხედვის განაცხადში.

თავი I. ისტორიული ცნობა

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი, დღესდღეობით, უნივერსიტეტის სტატუსის მქონე ერთადერთი არასახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა დასავლეთ საქართველოში.

ქუთაისის უნივერსიტეტი შედარებით ახალგაზრდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, თუმცა თავისი არსებობის 26-ე წელს ითვლის და, ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთი უძველესია საქართველოს კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს შორის.

უნივერსიტეტი დაფუძნდა 1991 წელს „ქუთაისის სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტის“ სახელწოდებით. მალევე, 1992 წლიდან, მიიღო შეზღუდული პასუხისმგებლობის საზიგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა.

თავიდან უნივერსიტეტი მრავალპროფილიანი იყო და კადრებს ამზადებდა სამართლის, ეკონომიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების, უცხო ენების მიმართულებებით.

უნივერსიტეტმა, საკუთარი სახსრების მობილიზებით, შეძლო უმოკლეს ვადებში აეშენებინა საკუთარი შენობა. 1996 წლიდან დღემდე იგი ფუნქციონირებს ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ ნაწილში მდებარე, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად კეთილმოწყობილ სივრცეში.

2006-2007 სასწავლო წლიდან, აკადემიური რესურსების ოპტიმალური გამოყენების მიზნით და ბაზრის მოთხოვნის გათვალისწინებით, უნივერსიტეტმა პრიორიტეტულ

მიმართულებად დაისახა კადრების მომზადება მხოლოდ ეკონომიკისა და ბიზნესის მიმართულებებით.

2010 წელს, პარტნიორთა გადაწყვეტილებით, უნივერსიტეტს შეეცვალა სახელწოდება და ეწოდა „ქუთაისის უნივერსიტეტი“.

ამჟამად უნივერსიტეტში ერთი - საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტია, რომელიც ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებს.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი დაარსების დღიდანვე მოწინავე პოზიციაზე იყო სტუდენტთა კონტინენტის მოზიდვის მხრივ. 2011 და 2012 წლებში, ვაკანტური ადგილების შევსების მაჩვენებლით, იგი შედიოდა საქართველოს უნივერსიტეტების ხუთეულში.

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტების რაოდენობის მიხედვით უნივერსიტეტი საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებათა ათეულში შედის, ხოლო კერძო უნივერსიტეტებს შორის, ამ მაჩვენებლით, პირველია.

ქუთაისის უნივერსიტეტი წარმოადგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრს, რომელიც ეფუძნება სტუდენტების, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის ჰარმონიული თანამშრომლობის პრინციპებს.

თავი II. უნივერსიტეტის მისია

შპს ქუთაისის უნივერსიტეტი იმერეთის რეგიონში მდებარე, თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი, ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციაზე ფოკუსირებული და მუდმივ განახლებაზე ორიენტირებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომლის მისიაა:

- აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე სწავლება-სწავლისა და კვლევის მიზნადგეგმილი სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების განვითარებისა და შემოქმედებითი პოტენციალის სტიმულირების მიზნით;
- მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება ბიზნესის, ეკონომიკის, ტურიზმისა და სამართლის მიმართულებებით, დინამიური შრომითი ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პრაქტიკული და თეორიული ცოდნის შექმნითა და გავრცელებით;
- კრიტიკულ სიტუაციებში ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე, კეთილსინდისიერი და მაღალი მოქალაქეობრივი თვითშეგნების, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თაობების აღზრდა მათი უნიკალური ინდივიდუალური თავისებურებების აღიარებითა და დაფასებით;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გრძელვადიანი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ჰარმონიული თანამშრომლობის განვითარება;

- საზოგადოების საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მოთხოვნების დაკმაყოფილება, რეგიონული, ეროვნული და საერთაშორისო მნიშვნელობის გამოყენებითი და ფუნდამენტური კვლევების განხორციელება.

თავი III. მთავარი ღირებულებები

საკუთარი მისიის განხორციელებისას ქუთაისის უნივერსიტეტი ერთგული რჩება თავისი მთავარი ღირებულებებისა:

- ა) **მომხმარებლებზე ფოკუსირება** - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული, მაღალი ხარისხის აკადემიური და სერტიფიცირებადი პროგრამების განხორციელება და მომხმარებლის მიზნებზე მორგებული მაღალკვალიფიციური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა, აგრეთვე, სტუდენტური სერვისების მრავალფეროვნება, რაც ზრდის ამ სერვისებით მომხმარებლის კმაყოფილების ხარისხს და ხელს უწყობს ლოიალური განწყობის ფორმირებას;
- ბ) **თანაბარი შესაძლებლობები** - უნივერსიტეტი ყველა სტუდენტისთვის და თანამშრომლისთვის, განურჩევლად ეროვნების, მრწამსის, სქესის, ფიზიკური შესაძლებლობებისა, ქმნის თვითრეალიზების თანაბარ შესაძლებლობებს.
- გ) **სამართლიანობა, გამჭვირვალობა და საჯაროობა;**
- დ) **მრავალფეროვნება** - უნივერსიტეტში წახალისებულია საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის, კულტურული, სპორტული და შემეცნებით-გასართობი ღონისძიებების მრავალფეროვნება, როგორც საზოგადოებრივი ღირებულებების შექმნის საფუძველი;
- ე) **აკადემიური თავისუფლება** - უნივერსიტეტი უზრუნველყოფს სამეცნიერო / აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის აკადემიური საქმიანობის არჩევანის და განხორციელების თავისუფლებას;
- ვ) **სოციალური პასუხისმგებლობა** - უნივერსიტეტი აცნობიერებს და აღიარებს მის წილ პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე ყველა დაინტერესებული მხარის მიმართ და გარემოს დაცვის კუთხით;
- ზ) **კეთილსინდისიერება** - კეთილსინდისიერება და მაღალი ეთიკური სტანდარტები განსაზღვრავს ყველა იმ აქტივობას, რასაც ახორციელებს უნივერსიტეტი თავისი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი და საზოგადოებრივი მისიის შესრულებისას; სწავლა-სწავლების და კვლევის პროცესში ამ ღირებულების დაცვას უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პლაგიატის აღმოჩენის და რეაგირების სისტემის მეშვეობით;
- თ) **ურთიერთპატივისცემა და გუნდური სულისკვეთება;**
- ი) **საზოგადოებრივი ჩართულობა;**
- კ) **ხარისხი და განვითარებისკენ სწრაფვა** - უნივერსიტეტი პროაქტიურად აფასებს საკუთარი საქმიანობის შედეგებს როგორც სწავლა-სწავლებისა და კვლევის, ასევე ადმინისტრაციული მართვის სფეროში, ეძებს ხარვეზების გამომწვევ მიზეზებს და ზრუნავს მათ აღმოფხვრაზე.

თავი IV. უნივერსიტეტის მომავლის ხედვა

მომავლის ხედვის განაცხადი წარმოადგენს უნივერსიტეტის სასურველი მომავლის სურათს, რომელიც ქმნის განვითარების კონტექსტს და წარმოადგენს მისი მიღწევის ყოველი ნაბიჯის, მათ შორის წინამდებარე 7 წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის საფუძველს.

ქუთაისის უნივერსიტეტის მომავლის ხედვაა, იგი იყოს

- **უნივერსიტეტი, რომელიც ასწავლის და სწავლობს** - ზრდის თაობებს, თავადაც იზრდება და ვითარდება მათთან ერთად; ახდენს ახალი ცოდნის გენერირებას და უწყვეტ რეჟიმში მიწოდებას, მაგრამ მუდმივად რჩება ერთგული დემოკრატიული პრინციპებისა და ძირითადი ღირებულებებისა: კეთილსინდისიერება და პატივისცემა, გუნდური სულისკვეთება, ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა, საზოგადოებრივი ჩართულობა, გარემოს დაცვისადმი ინტერესი.

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის მომავლის ხედვა გამოიხატება სლოგანით:

- **ერთად ჩვენ შეგვიძლია ავაშენოთ უკეთესი მომავალი თითოეული ჩვენთაგანისთვის!**
(**Together, we can build a better future for all of us!**)

თავი V. SWOT ანალიზი

უნივერსიტეტის წარსული და მიმდინარე საქმიანობის, მისი მოქმედების გარემოსა და არეალის პარამეტრების მიხედვით შესრულდა SWOT ანალიზი, რის საფუძველზეც განისაზღვრა ძლიერი მხარეები (S), სუსტი მხარეები (W), შესაძლებლობები (O) და საფრთხეები (T).

1. ძლიერი მხარეები (S):

ა) უნივერსიტეტს გააჩნია ხელსაყრელი ლოკაცია - შენობა მდებარეობს ქალაქ ქუთაისის ცენტრში;

ბ) საუნივერსიტეტო სივრცე ღია და ხელმისაწვდომია საზოგადოების წარმომადგენლებისთვის;

გ) გააჩნია სტუდენტთა საჭიროებებზე მორგებული ინფრასტრუქტურა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის არსებობს ადაპტირებული გარემო: ლიფტი, პანდუსები და სხვ.

დ) წარმოადგენს შედარებით მცირერიცხოვან, შეკრულ, მეგობრულ კოლექტივს პერსონალის სანიმუშო ეთიკური ქცევით;

ე) ჰყავს დისციპლინირებული, მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილების მქონე თანამშრომლები;

ვ) ჰყავს მაღალკვალიფიციური, მოტივირებული და პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რამოდენიმე მათგანი საზოგადოებაში ცნობილია, როგორც ექსპერტი;

ზ) მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება უფრო მაღალია, ვიდრე ქალაქ ქუთაისში მოქმედ კონკურენტ უნივერსიტეტში;

თ) უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის ყველა საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტებულია;

ი) 2006 წლიდან გამოიცემა რეფერირებადი სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკური პროფილი“;

კ) ნიჭიერი აბიტურიენტების მოზიდვის მიზნით ყოველწლიურად, გაზაფხულზე, ტარდება საუნივერსიტეტო კონკურსი, რომლის გამარჯვებულთა სწავლის საფასური, უნივერსიტეტში ჩარიცხვის შემთხვევაში, ფინანსდება საუნივერსიტეტო გრანტით;

ლ) აქვს სტიპენდიებით სტუდენტთა მოტივირების ხანგრძლივი და წარმატებული პრაქტიკა;

მ) დაწესებულია სხვადასხვა შეღავათები სწავლის საფასურში და დანერგილია სწავლის საფასურის გადახდის სტუდენტისათვის ხელსაყრელი შესაძლებლობა (წლიური საფასურის ნაწილ-ნაწილ, ყოველთვიურად გადახდა);

ნ) ჰყავს აქტიური სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც ხშირად ერთვება სოციალურ და სამოქალაქო აქტივობებში, სპორტულ, კულტურულ და შემეცნებით ღონისძიებებში;

ო) გამოირჩევა კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებლით (71%);

პ) აქვს საერთაშორისო საგრანტო პროექტებსა და სტუდენტთა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის მდიდარი გამოცდილება;

ჟ) გააჩნია თანამშრომლობის კარგი გამოცდილება საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან როგორც კერძო, ასევე საჯარო სექტორში;

რ) გააჩნია წარმატებული გამოცდილება რეგიონში საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მომსახურების გაწევის სფეროში.

2. სუსტი მხარეები (W):

ა) რეგიონის მასშტაბით როგორც ბრენდის, ასევე უნივერსიტეტის შედარებით სუსტი ცნობადობა (იდენტიფიცირების პრობლემა), რაც, ძრითადად, საინფორმაციო სივრცეში არასაკმარისი აქტიურობით აიხსნება;

ბ) აქტიურ სტუდენტთა სიმცირე და ახალი ნაკადების (კონტინგენტის) შემცირების არასახარბიელო ტენდენცია ბოლო სამი წლის მანძილზე;

გ) სწავლებისა და კვლევის ინტეგრირების არასაკმარისი დონე;

დ) გამოყენებითი კვლევების არასაკმარისი რაოდენობა;

ე) სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდების გამოყენების არასაკმარისი ხარისხი;

ვ) პრაქტიკის კომპონენტის არასაკმარისი დონე ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე;

- ზ) მოძველებული და მცირერიცხოვანი ქართულენოვანი სასწავლო ლიტერატურა;
- თ) მეცადინეობებზე სტუდენტების დასწრების დაბალი მაჩვენებელი (დაკავშირებულია, ნაწილობრივ, იმასთან, რომ ბევრი სტუდენტი დასაქმებულია);
- ი) სტუდენტთა აკადემიური მოსწრების არადაამაკმაყოფილებელი დონე;
- კ) სტუდენტების და აკადემიური პერსონალის უმრავლესობის დაბალი კომპეტენცია უცხო ენებში;
- ლ) აკადემიური უმაღლესი განათლების ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა;
- მ) პროფესორების („სრული პროფესორების“) მცირერიცხოვნება (3 ადამიანი), დოქტორანტურის პროგრამებში უცხოელ თანახელმძღვანელთა არარსებობა;
- ნ) აკადემიური პერსონალის დაბალი შრომითი ანაზღაურება ქალაქში მოქმედ კონკურენტ უნივერსიტეტთან შედარებით;
- ო) თანამშრომელთა შეფასებისა და სტიმულირების დაუხვეწავი სისტემა;
- პ) პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების (პროფესიული გადამზადების) პრაქტიკის არარსებობა;
- ჟ) ორგანიზაციული სისტემა პრაქტიკულად არ მოქმედებს და, აქედან გამომდინარე, მართვის ეფექტიანობის დონე არადაამაკმაყოფილებელია;
- რ) სწავლების პროცესში თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების დაბალი დონე.

3. შესაძლებლობები (O):

- ა) აკადემიური უმაღლესი განათლების არსებული საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწა და ახლების (ბაკალავრიატის სამართლის პროგრამა, მაგისტრატურის ეკონომიკის პროგრამა) შემუშავება მათზე მზარდი მოთხოვნის გათვალისწინებით;
- ბ) უცხოელი სტუდენტების მხრიდან მზარდი მოთხოვნის არსებობა ქართული უნივერსიტეტების ბაკალავრიატის ინგლისურენოვან პროგრამებზე;
- გ) შემოთავაზებები ევროპის უნივერსიტეტების მხრიდან აკადემიური უმაღლესი განათლების ერთობლივ საგანმანათლებლო პროგრამების შექმნაზე (მაგ., უკვე არის შემოთავაზება კლაიპედის გამოყენებითი მეცნიერებების სახელმწიფო უნივერსიტეტიდან);
- დ) ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება გამოყენებითი კვლევითი პროექტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამების მიმართულებით;
- ე) პერსონალის მოკლევადიანი სტაჟირების ხელშეწყობა საერთაშორისო ინტერ-ინსტიტუციონალური საგრანტო პროექტების ფარგლებში;
- ვ) ინტერაქტიური სწავლების თანამედროვე მეთოდების გაზიარება საერთაშორისო პროექტების ფარგლებში და მათი დანერგვა სხვადასხვა სასწავლო კურსების სწავლებაში;

ზ) მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრიორიტეტად აღიარება სახელმწიფოს მხრიდან და შრომის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნა სერტიფიცირებად პროგრამებზე;

თ) უნივერსიტეტსა და ადგილობრივ შრომის ბაზარს შორის კავშირების (წვდომის) გაძლიერება ურთიერთსარგებლიანობის პრინციპზე დაყრდნობით;

ი) სასწავლო პროცესის მართვის თანამედროვე ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა, მისი ეტაპობრივი ინტეგრირება საქმისწარმოებასა და ადამიანური რესურსების მართვის სისტემებთან;

კ) თანამედროვე სახელმძღვანელოებით საბიბლიოთეკო ფონდის (მ.შ. ელექტრონული წიგნები) შევსება;

ლ) დასაქმებული სტუდენტებისთვის მოქნილი სასწავლო გრაფიკის (შაბათ-კვირა და საღამოს სათეები) შემოღება, დისტანციური სწავლების (Moodle) კომპონენტის შეთავაზება და სტუდენტური სერვისების განვითარების ხელშეწყობა;

მ) სტუდენტური თვითმმართველობის პროექტების განხორციელების ხელშეწყობა, მომავალი ლიდერების აღმოჩენა, წარმოჩენა და კარიერულ წინსვლაში მხარდაჭერა;

ნ) სამიზნე სეგმენტებთან საკომუნიკაციო არხების გაძლიერება;

ო) დამატებითი შემოსავლების გენერირება საგანმანათლებლო-საკონსულტაციო სერვისების შეთავაზებით.

4. საფრთხეები (T):

ა) სტუდენტთა მისაღები კონტინგენტის გეგმიურ და ფაქტობრივ სიდიდეებს შორის სხვაობის არასახარბიელო ტენდენციის შენარჩუნება;

ბ) საქართველოში პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და დემოგრაფიული მდგომარეობის გაუარესება და მოსახლეობაში განკარგვადი შემოსავლების დონის და გადახდისუნარიანობის შემცირება;

გ) არასტაბილური სოციალურ-ეკონომიკური პირობებით გამოწვეული მიგრაციული პროცესები - ე.წ. „ტვინების გადინება“;

დ) მაღალკვალიფიციური საკვანძო პერსონალის უფრო პერსპექტიულ სამუშაოებზე უნივერსიტეტიდან გადინების საშიშროება;

ე) ახალი საგანმანათლებლო პროგრამებისთვის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის მოძებნისა და მოზიდვის სირთულეები;

ვ) განათლების სფეროში საკანონმდებლო ბაზის სწრაფი ცვალებადობა;

ზ) სახელმწიფოს მხრიდან უფასო ფაკულტეტების (სპეციალობების) რაოდენობისა და მათი დაფინანსების ზრდა;

თ) კავკასიის რეგიონში უსაფრთხოების მდგომარეობის (ტერორიზმის შემთხვევები) გაუარესება და უცხოელი სტუდენტების კონტიგენტის მოზიდვის შესაძლებლობის შემცირება;

ო) გამოყენებით კვლევებზე და საკონსულტაციო სერვისებზე მოთხოვნილების შემცირება კერძო სექტორის მხრიდან;

კ) განათლების ბაზარზე მუდმივად მზარდი კონკურენცია: ახალი მსხვილი კონკურენტების გამოჩენა, რომლებსაც უფრო ხარისხიანი საგანმათლებლო სერვისის შეთავაზება შეეძლებათ.

თავი VI. ძირითადი გამოწვევები

არსებული სიტუაციის შესწავლისა და შესრულებული SWOT ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა შემდეგი ძირითადი გამოწვევები:

- შპს ქუთაისის უნივერსიტეტს, როგორც შედარებით ხანმოკლე ისტორიის კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებას, ესაჭიროება ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა; ახლადშექმნილი ორგანიზაციული სტრუქტურა გამოცდის ფაზაშია, თუმცა საკმაოდ მოქნილია საიმისოდ, რომ შემდგომი ორგანიზაციული ზრდის გამოწვევებს გაუძლოს; ჯერ-ჯერობით არაა ჩამოყალიბებული უწყვეტი სწავლების ცენტრი; არასაკმარისადაა განვითარებული კურსდამთავრებულთა ქსელი, რომელიც უნივერსიტეტის წარმატების ერთ-ერთი ფაქტორი უნდა იყოს და ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სტუდენტთა მოზიდვას;
- უნივერსიტეტს ესაჭიროება ორგანიზაციული მდგრადობის უზრუნველყოფა, განსაკუთრებით კვალიფიციური ადამიანური რესურსების მოზიდვისა და შენარჩუნების თვალსაზრისით; აქცენტები უნდა გაკეთდეს პოსტდოქტორანტების „გამოზრდაზე“, რომლებიც შემდგომში უნივერსიტეტის წარმატებულ აკადემიურ პერსონალად უნდა ჩამოყალიბდნენ; მართვის კომპიუტერული სისტემების გამოყენება ჩანასახის სტადიაშია, მისი განვითარების პროცესი საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას; აუცილებელია გაჩნდეს ფინანსური მდგრადობის საფუძველი როგორც დამატებითი ინვესტიციების მოზიდვის, ასევე დამატებითი შემოსავლების გენერირების გზით; უნივერსიტეტმა, დამხმარე ეკონომიკური საქმიანობითა და ხარისხიანი საგანმანათლებლო-საკონსულტაციო სერვისის შეთავაზებით, უნდა შეძლოს არამარტო სწავლებასა და კვლევაზე გასაწევი საოპერაციო ხარჯების დაფარვა, არამედ იმდენი შემოსავლების გამომუშავება, რომ სამეცნიერო ანალიტიკური და უწყვეტი სწავლების ცენტრები ერთგვარ „პროფიტ ცენტრებად“ გადაიქცნენ;
- სწავლა-სწავლების სტანდარტი უნდა ამაღლდეს ყოველწლიურად, რათა მუდმივად იყოს შესაბამისობაში თანამედროვე გამოწვევებთან და უნივერსიტეტის პრიორიტეტულ მიზნებთან; სწავლებისა და კვლევის კომპონენტები უფრო მეტად უნდა გახდეს ინტეგრირებული, რაც სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვითა და კვლევით პროექტებში სტუდენტების უფრო მეტად ჩართულობით უნდა იქნეს მიღწეული; სტაჟირების პროგრამების განსახორციელებლად დამსაქმებლებთან (კერძო და სახელმწიფო ინსტიტუტებთან) თანამშრომლობა კიდევ უფრო უნდა გაძლიერდეს, თუმცა

აქ სირთულეებს ქმნის ის გარემოება, რომ დამსაქმებლებს თავად არ გააჩნიათ მკაფიოდ ჩამოყალიბებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები;


- უნივერსიტეტში სტაჟირება;
- უნივერსიტეტის პროფილიდან გამომდინარე კვლევები ძირითადად ეკონომიკის მიმართულებით უნდა წარიმართოს; ფუნდამენტურ კვლევებთან და რეგიონული ეკონომიკის განვითარების პროექტებში მონაწილეობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ისეთ გამოყენებით კვლევებს, რომლებიც ადგილობრივი ბიზნესების კონკურენტუნარიანობის ამაღლებასა და დასაქმების შემდგომ ზრდას შეუწყობს ხელს; კვლევის შედეგები, გარკვეული დოზით, სასწავლო პროგრამებში უნდა იქნეს შეტანილი;
- სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება ინტერნაციონალიზაციის ელემენტების გაძლიერებითაც უნდა მოხდეს, ამ მხრივ უნივერსიტეტს დაგეგმილი აქვს კონკრეტული აქტივობები, რომლებიც სტრატეგიულ გეგმაშია წარმოდგენილი (იხ. სტრატეგიული ამოცანა 3.3; აქტივობა 5.1.6);
- სტუდენტური სერვისები მეტ-ნაკლებად განვითარებულია, თუმცა გასაძლიერებელია სტუდენტთა პროფესიული ზრდისა და დასაქმების მიმართულება; კეთილმოწყობას საჭიროებს სტუდენტთა ე.წ. შიდა და გარე „საჯარო სივრცეები“;
- უნივერსიტეტს ჯერ-ჯერობით არ აქვს შემუშავებული მკაფიო მარკეტინგული გეგმა, რომლის მიხედვითაც მოახდენდა ეფექტიან კომუნიკაციას ადრე ჩატარებული მარკეტინგული კვლევებით იდენტიფიცირებულ 4 სამიზნე ჯგუფთან; ძირითადი საგანმანათლებლო საქმიანობის (სწავლა-სწავლება და კვლევა) ხარისხის მუდმივი განვითარების კვალდაკვალ მარკეტინგული საქმიანობის ინსტიტუციონალიზაცია, ყოველწლიური მარკეტინგული გეგმების შემუშავება და განხორციელება წარმატების ის მთავარი იარაღია, რომლის მეშვეობით კარდინალურად უნდა შეიცვალოს უკანასკნელ წლებში სტუდენტთა კონტინგენტის შემცირების არასახარბიელო ტენდენცია და ამაღლდეს შპს ქუთაისის უნივერსიტეტის, როგორც ბრენდის, რეპუტაცია.

თავი VII. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები

შპს ქუთაისის უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2018 – 2024 წწ.) წარმოადგენს შიდა გარდაქმნებზე („შესაძლებლობები-სუსტი მხარეები“) და განვითარებაზე („შესაძლებლობები-ძლიერი მხარეები“) ორიენტირებულ სტრატეგიას „მიქსს“, რომელიც ითვალისწინებს დინამიურ ცვალებად გარემოს და შესაბამისობაშია უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულ მისიასთან.

სულ გამოიკვეთა 6 სტრატეგიული მიზანი. თითოეული სტრატეგიული მიზანი, თავის მხრივ, ჩაშლილია სტრატეგიულ ამოცანებად, ამოცანები კი კონკრეტიზდება განსახორციელებელ საქმიანობებად (აქტივობებად).

სტრატეგიული მიზნები და ამოცანები სქემატურად წარმოდგენილია სურათზე 1.




სურ. 1. სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების სქემა

1. სტრატეგიული მიზანი: ინფრასტრუქტურის განვითარება

ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით უნივერსიტეტში ყველა პირობაა შექმნილი მაღალი დონის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად. უნივერსიტეტის საკუთრებაშია ქალაქ ქუთაისის ცენტრში მდებარე ექვსსართულიანი კეთილმოწყობილი შენობა სასწავლო აუდიტორიებით, ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით, კომპიუტერული ლაბორატორიებით, სააქტო და საკონფერენციო დარბაზებით. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთათვის არსებობს ადაპტირებული გარემო: ლიფტი, პანდუსები და სხვ.

უნივერსიტეტის ტოპ-მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არსებული ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული მიზანია. იგი უნდა ვითარდებოდეს სწავლა-სწავლების, კვლევისა და სტუდენტური ცხოვრების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად, რათა შეიქმნას მაქსიმალურად კომფორტული გარემო როგორც სტუდენტებისთვის, ასევე უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის.

უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარების მიზანი მოიცავს 3 ამოცანას (იხ. სურ. 2).



სურ. 2. სტრატეგიული მიზანი - ინფრასტრუქტურის განვითარება და მისი ამოცანები

1.1. სასწავლო-კვლევითი გარემოს გაუმჯობესება:

- უფრო მეტი სასწავლო აუდიტორია აღიჭურვება მულტიმედია პროექტორებით, ახალი ერგონომიული მაგიდებითა და სკამებით;
- კომპიუტერული ცენტრები (ლაბორატორიები) გადაიარაღდება თანამედროვე სტანდარტების კომპიუტერული ტექნიკით;

- კეთილმოწყობა და საჭირო ტექნიკით აღიჭურვება უწყვეტი სწავლების ცენტრის ოფისი და საგამოცდო ცენტრი;
- ტექნიკურად აღიჭურვება ფაკულტეტის დეპარტამენტები;
- გაიზრდება უნივერსიტეტის ცენტრალური სერვერის სიმძლავრე, გაუმჯობესდება სასერვერო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის მდგრადობა და უსაფრთხოება;
- სრულყოფილ იქნება ადაპტირებული გარემო განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის.

1.2. ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარება:

- საბიბლიოთეკო ფონდი შეივსება უახლესი სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურით;
- მოხდება ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზის შემდგომი განვითარება-სრულყოფა;
- გაძლიერდება ბიბლიოთეკის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიური მხარდაჭერა, რათა სტუდენტებისთვის გაუმჯობესდეს ელექტრონული რესურსების ონ-ლაინ და ოფ-ლაინ კოლექციებზე წვდომა;
- გაფართოვდება საერთაშორისო საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობა;
- დამყარდება და გაღრმავდება პარტნიორული ურთიერთობები სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებთან და „ტექნიფორმთან“.


1.3. სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობისა და განტვირთვისთვის კომფორტული გარემოს შექმნა:

- კეთილმოწყობა ღია საჯარო სივრცე უნივერსიტეტის შენობისუკანა ეზოში;
- გაუმჯობესდება კომფორტი სტუდენტთა თავისუფალი შიდა საჯარო სივრცეში;
- „ქრეაბი“ აღიჭურვება 3D პრინტერთა და სხვა ინოვაციური მოწყობილობებით;
- განახლდება საკალათბურთო მოედნის აღჭურვილობა.

2. სტრატეგიული მიზანი: თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება

უნივერსიტეტის საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი ახორციელებს აკადემიური უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) საგანმანათლებლო პროგრამებს. არსებული პროგრამების აკრედიტაციის ვადა სხვადასხვა დროს იწურება. მომავალი აკრედიტაციისთვის გათვალისწინებულია არამარტო არსებული პროგრამების განახლება, არამედ რამდენიმე ახალი პროგრამის დამატებაც, მათ შორის ბაკალავრიატის ბიზნეს ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამისა.

სტრატეგიული მიზანი მოიცავს 3 ამოცანას (იხ. სურ. 3).



სურ. 3. სტრატეგიული მიზანი - თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და მისი ამოცანები

2.1. არსებული აკადემიური პროგრამების განახლება:

- პირველ რიგში, შეიქმნება და დაინერგება „აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების მომზადების მეთოდოლოგია“, რომელიც საერთო იქნება უნივერსიტეტის ყველა პროგრამისთვის და ხელს შეუწყობს ამ პროგრამების სრულყოფას;
- განხორციელდება არსებული აკადემიური პროგრამების (კურიკულუმი, სილაბუსები) რევიზია: საჭიროებისამებრ შეიცვლება პროგრამის ან/და მისი ცალკეული კომპონენტების შინაარსი, მოცულობა, სწავლების კალენდარულ გეგმა, სწავლებისა და სწავლის შედეგების შეფასების მეთოდები;
- შესწავლილი და კარგად გაანალიზებული იქნება სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ანალოგიური საგანმანათლებლო პროგრამები;
- მოქმედ პროგრამებში შეტანილ იქნება ინგლისურ ენაზე სწავლების ელემენტები;
- გათვალისწინებულია კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობის გაღრმავება საგანმანათლებლო პროგრამებში პრაქტიკის კომპონენტის გაძლიერების მიზნით.

2.2. ახალი აკადემიური პროგრამების დანერგვა:

- აკადემიური უმაღლესი განათლების სამი ახალი საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრიატის სამართლის პროგრამა, ბაკალავრიატის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვანი პროგრამა, მაგისტრატურის ეკონომიკის პროგრამა) კომიტეტების ფორმირება;

- სტანდარტული მეთოდოლოგიით შემუშავდება ახალი პროგრამებისათვის, რომლებიც წარდგენილ იქნება აკრედიტაციაზე;
- ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში მოისინჯება ევროპის რომელიმე პარტნიორ უნივერსიტეტთან ერთობლივი პროგრამის შექმნის შესაძლებლობა.

2.3. სერტიფიცირებადი პროგრამების დანერგვა

- განისაზღვრება მოთხოვნადი სერტიფიცირებადი პროგრამები (კურსები) ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებზე დაყრდნობით;
- შეიქმნება და დაინერგება მოკლევადიანი სერტიფიცირებადი პროგრამების მომზადებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
- პირველ ეტაპზე მოხდება ყველაზე მოთხოვნადი ორი სერტიფიცირებადი პროგრამის პილოტირება;
- განხორციელდება ამოქმედებული სერტიფიცირებადი პროგრამების (მისი შემადგენელი კურსების) შეფასება შესაბამისი მეთოდოლოგიით და საჭიროების შემთხვევაში მოხდება მათი მოდერნიზაცია;
- დაიწყება აბიტურიენტთა მოსამზადებელი კურსების განხორციელება უწყვეტი სწავლების ცენტრში.

3. სტრატეგიული მიზანი: სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესება

სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის ამაღლება უნივერსიტეტის ისეთ უმნიშვნელოვანეს სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენს, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია უნივერსიტეტის მისიის შესრულება.


მაღალკვალიფიციური ადამიანური რესურსებით უზრუნველყოფის პირობებში (რაც ცალკე სტრატეგიულ მიზნადაა გამოკვეთილი) სწავლა-სწავლებისა და კვლევის ხარისხის გასაუმჯობესებლად უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიერ დაისახა 3 ამოცანა (იხ. სურ. 4).

3.1. სასწავლო და კვლევითი პროცესის მართვის სისტემის დახვეწა და მართვის

ინტეგრირებულ ელექტრონულ სისტემებზე ეტაპობრივი გადასვლა:

- დაინერგება სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის და შეფასების ახლად დამტკიცებული სისტემა;
- დაინერგება აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების ახლადშექმნილი მეთოდოლოგია;
- გაიზრდება იმ აკადემიური და სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა, რომლებიც ელექტრონული სწავლების მოქმედ პლატფორმაში (Moodle) იქნება ინტეგრირებული;
- მოხდება ელექტრონულ მონაცემთა ბაზების სრულყოფა და დასრულდება სასწავლო პროცესის მართვის პროგრამული ბლოკი (პაკეტი), შეიქმნება შეფასების ელექტრონული უწყისი სტუდენტთა აკადემიური მოსწრების ელექტრონული მონიტორინგის მიზნით;

- გამოვლინდება სასწავლო პროცესის მართვასთან ინტეგრირებადი ხარისხის მართვის, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის ეფექტური ელექტრონული სისტემების (მოდულების) შესყიდვის საუკეთესო ალტერნატიული ვარიანტი;
- სწავლების პირველ და მეორე საფეხურზე შეიქმნება და დაინერგება გამოცდების ერთიანი სისტემა - უნივერსიტეტში დაარსდება საგამოცდო ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფს საგამოცდო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებას გამჭვირვალობისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით.



სურ. 4. სტრატეგიული მიზანი - თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება და მისი ამოცანები

3.2. სწავლა-სწავლებისა და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მხარდაჭერა და წახალისება:

- გაუმჯობესდება საუნივერსიტეტო სტიპენდიების მინიჭების კუთხით არსებული სტიმულირების სისტემა უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საფეხურებზე;
- სრულყოფილ იქნება შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კვლევით პროექტების საკონკურსო პირობები და ყოველწლიურად გაიზრდება ამ პროექტების დაფინანსება;
- წახალისდება დოქტორანტთა ჩართულობა შიდასაუნივერსიტეტო საგრანტო კვლევით პროექტებში;
- სამეცნიერო ანალიტიკური ცენტრის წლიურ ანგარიშებზე დაყრდნობით გამოვლინდება და პრემიით დაჯილდოვდებიან მკვლევარები, რომლებსაც ყველაზე

მეტი პუბლიკაცია ექნებათ გამოქვეყნებული მაღალრეიტინგულ რეფერირებად ჟურნალებში, უზრუნველყოფილ იქნება საპრემიო ფონდის ყოველწლიური ზრდა;

- საჯარო ლექციების ჩასატარებლად უნივერსიტეტში მოწვეულ იქნებიან კონკრეტული დარგის გამოჩენილი მკვლევარები და ექსპერტები (სემესტრში ერთი მაინც);
- ყოველწლიურად დაფინანსდება ეროვნული ან საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის (სიმპოზიუმის) მოწყობა.

3.3. ინტერნაციონალიზაციის გაძლიერება სწავლებისა და კვლევის ხარისხის სტანდარტის ასამაღლებლად

- ეტაპობრივად გაიზრდება ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების წილი უნივერსიტეტის აკადემიური უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებში;
- უნივერსიტეტის სამეცნიერო-პრაქტიკულ ჟურნალ „ეკონომიკური პროფილის“ სარედაქციო კოლეგიაში ჩაერთვება ერთი მაინც ევროპელი მკვლევარი;
- მოხდება სწავლების მეთოდების მუდმივი განახლება-სრულყოფა საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის გამოცდილების საფუძველზე;
- ხელშეწყობილ იქნება სამივე საფეხურის სტუდენტების, პოსტდოქტორანტების, აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საერთაშორისო მობილობა (უცხოეთში სტაჟირება, კვალიფიკაციის ამაღლების სხვა შესაძლებლობების შეთავაზება);
- გაიზრდება საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაფინანსებულ გამოყენებით კვლევით პროექტებში ჩართულ სტუდენტთა და თანამშრომელთა რაოდენობა;
- შემუშავდება უცხოელ სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისა და მოზიდვის მექანიზმები ბაკალავრიატის ბიზნესის ადმინისტრირების ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამაზე.


4. სტრატეგიული მიზანი: ადამიანური რესურსების განვითარება

ადამიანური რესურსების განვითარება უნივერსიტეტის წინაშე მდგომი ერთ-ერთ ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომლის დაძლევის გარეშეც ვერ მოხდება ორგანიზაციული მდგრადობის უზრუნველყოფა და უნივერსიტეტის მისიის წარმატებით შესრულება.

ესმის რა ამ ფაქტორის დიდი მნიშვნელობა, უნივერსიტეტის ტოპ-მენეჯმენტმა პირველი ნაბიჯი გადადგა „ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს“ შექმნით, რომელიც წარმოადგენს მეთოდურ, ნორმატიული ხასიათის დოკუმენტს, განსაზღვრავს შპს ქუთაისის უნივერსიტეტში ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკას და ამკვიდრებს შესაბამის პროცედურებს. სახელმძღვანელო მომზადდა ევროკავშირის მხარდაჭერით TEMPUS პროგრამის №543657-TEMPUS-1-2013-1-KZ-TEMPUS-JPGR პროექტის - „საგანმანათლებლო ორგანიზაციის ხელშეწყობა ადამიანური რესურსების მეშვეობით“ - ფარგლებში.

ადამიანური რესურსების განვითარების სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახულ იქნა ორი მთავარი ამოცანა (იხ. სურ. 5), რომელთა შესრულება საშუალებას მისცემს

უნივერსიტეტს, გახდეს ერთ-ერთი სასურველი და სანდო დამსაქმებელი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში.



სურ. 5. სტრატეგიული მიზანი - ადამიანური რესურსების განვითარება და მისი ამოცანები

4.1. ადამიანური რესურსების მართვის მექანიზმების სრულყოფა:

- სრულყოფილად დაინერგება რეკრუტირების მექანიზმი უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის სახელმძღვანელოს შესაბამისად;
- დაინერგება თანამშრომელთა შეფასებისა და შრომის სტიმულირების სისტემები, აგრეთვე - თანამშრომლის მიმართ დისციპლინური წარმოების სრულყოფილი სისტემა;
- ამოქმედდება კვალიფიკაციის ამაღლების (პროფესიული გადამზადების) სისტემა.


4.2. პერსონალის რაოდენობრივ-ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესება:

- გაიზრდება აკადემიური პერსონალის აფილირებული თანამშრომლების რაოდენობა;
- შემცირდება მოწვეული პერსონალის რაოდენობა;
- გაიზრდება პროფესორებისა და დოქტორანტთა სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობა;
- ეტაპობრივად გაიზრდება აკადემიური პერსონალის შრომის ანაზღაურება.

5. სტრატეგიული მიზანი: სტუდენტური სერვისების განვითარება

მომხმარებლებზე ფოკუსირება უნივერსიტეტის ერთ-ერთი მთავარი ღირებულებაა, რომლის დაცვა არ შემოსაზღვრება მხოლოდ შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის აკადემიური და სერტიფიცირებადი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებით. იგი გულისხმობს სხვადასხვა ინოვაციური და ეფექტიანი სტუდენტური სერვისების განვითარებასაც, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას.

ზრუნავს რა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი და ეფექტიანი სერვისების მიწოდებაზე, უნივერსიტეტმა დაისახა კონკრეტული აქტივობების განხორციელება სამი ამოცანების ფარგლებში (იხ. სურ. 6).



სურ. 6. სტრატეგიული მიზანი - სტუდენტური განვითარება და მისი ამოცანები

5.1. სტუდენტთა მხარდაჭერის გაძლიერება საკონსულტაციო მომსახურებით, ადმინისტრაციული და დამხმარე სერვისებით:

- სტუდენტთა გზამკვლევის განახლება, რომელშიც ნათლად იქნება განმარტებული სტუდენტური ცხოვრების ციკლის თითოეულ ფაზა (სტუდენტის მიღება, მობილობა, პროგრესია, აღიარება და დიპლომირება), აგრეთვე - სწავლის საფასურის და მისი გადახდის წესი, ფასდაკლებები, საუნივერსიტეტო სტიპენდიების მინიჭებისა და გაცემის წესი და სხვ.;
- სატელეფონო ცხელი ხაზის ამოქმედება საჭირო კონსულტაციისა და მხარდაჭერის სერვისის უზრუნველსაყოფად;
- ონ-ლაინ მომსახურების დანერგვა როგორც ქართველი, ისე უცხოელი სტუდენტებისთვის საჭირო კონსულტაციისა და ადმინისტრაციული სერვისის უზრუნველსაყოფად;
- საკონსულტაციო მომსახურების ეფექტიანი სისტემის დანერგვა სტუდენტისთვის სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად (ე.წ. „ფრონტ-ოფისის“ ამოქმედება ინდივიდუალურად პროფესიული რჩევა-დარიგებების მისაცემად);
- ქუთაისში საცხოვრებლის მოძიებაში სტუდენტთა დახმარება გასაქირავებელი ბინების შესახებ ინფორმაციის მიწოდებით;
- უცხოელი სტუდენტებისთვის სპეციალური გზამკვლევის მომზადება და განთავსება ვებ-გვერდზე; გზამკვლევი უნდა მოიცავდეს ინფორმაციას როგორც უნივერსიტეტის,

ასევე ქუთაისის და საქართველოს შესახებ (ტრანსპორტი, ცხოვრება, ჯანმრთელობის დაცვა, საბანკო მომსახურება, გართობა და ა.შ.);

- სტუდენტური სერვისებით კმაყოფილების დონის პერიოდული შეფასება და შედეგებზე რეაგირება.

5.2. სტუდენტების პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობა:

- უნივერსიტეტში ლიდერის თვისებებით გამორჩეული სტუდენტების აღმოჩენა და მათი უნარ-ჩვევების სხვადასხვა მიმართულებით განვითარების ხელშეწყობა, კერძოდ, სტუდენტურ თვითმმართველობასთან თანამშრომლობით მუდმივმოქმედი სადისკუსიო კლუბების ამოქმედება სხვადასხვა თემატიკის (პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციოლოგიური დისკურსი) მიხედვით;
- უწყვეტი სწავლების ცენტრის ბაზაზე სტუდენტების გადამზადება ლიდერობის, კომუნიკაციის, გადაწყვეტილების მიღების, კარიერის დაგეგმვის, ფონდების მოძიებისა და პროექტის მართვის საკითხებში (სემინარები, კურსები, სამუშაო შეხვედრები), აგრეთვე ისეთი ტრენინგ-კურსების ორგანიზება, როგორცაა: ვაკანსიაზე განაცხადების შევსება, სამოტივაციო წერილების დაწერა, გასაუბრების წარმატებით გავლა და ა.შ.;
- სტუდენტების საინტერესო იდეებისა და პროექტების განხორციელების ფინანსური მხარდაჭერა საკონკურსო საფუძველზე, გამჭვირვალობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპების სრული დაცვით („ქრეალაბი“ს ფუნქციური ამოქმედება);
- მუდმივად განახლებადი ბაზის შექმნა, რომელშიც მოცემულ იქნება ინფორმაცია ვაკანსიების შესახებ, რაც სტუდენტებს სამუშაოს მოძებნის დამატებით შესაძლებლობებს მისცემს;
- სტუდენტთა სტაჟირების მოქნილი სისტემის ამოქმედება მათი დასაქმების პერსპექტივის გაზრდის მიზნით: პოტენციურ დამსაქმებლებთან წარჩინებული სტუდენტების შეხვედრების ორგანიზება; უნივერსიტეტში სტაჟირება და სხვ.;
- რეგიონული დასაქმების ფორუმების ორგანიზება.

5.3. სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნების უზრუნველყოფა


- შემეცნებით-გასართობ ღონისძიებებსა და კონკურსებში სტუდენტთა მონაწილეობის წახალისება;
- პრიორიტეტული სპორტული მიმართულებებით გუნდების (სპორტული კლუბების) განვითარების ხელშეწყობა და მათი წახალისების სქემების ამოქმედება;
- უნივერსიტეტში სტუდენტური თვითშემოქმედების განვითარების ხელშეწყობა მათ ინტერესებზე მორგებული მიმართულებებით (მხატვრული კითხვა და სხვა წრეები);
- სამოქალაქო და სოციალური აქტივობის კუთხით სტუდენტური თვითმმართველობის მიერ ინიცირებული პროექტების და ღონისძიებების სათანადო ფინანსური მხარდაჭერა.

6. სტრატეგიული მიზანი: მიღებულ კონტინგენტში მაღალი პოტენციალის მქონე სტუდენტთა რაოდენობის გაზრდა

